ხელშეკრულება № 5

შესყიდვების შესახებ

ქ. თბილისი „14" დეკემბერი 2011 წ.

წინამდებარე ხელშეკრულება დადებულია:

ერთის მხრივ, შ.პ.ს. ინოვაციური განათლების ცენტრი "კალამი", დირექტორი ეკატერინე ჩერქეზიშვილს (შემდგომში „მიმწოდებელი") და მეორეს მხრივ ყიზილეთის რაიონის სოფელ ხოსროვანის საჯარო (კერძო) სკოლის დირექტორს ირინა ბერიკაშვილს ---------- შორის(შემდგომში „შემსყიდველი")

1. ხელშეკრულების საგანი

ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს № ხოსროვანის საჯარო (კერძო) სკოლის მიერ საგნობრივი სილაბუსების---52---- და დამხმარე სახელმძღვანელოს შეძენა "სკოლის ავტორიზაცია" ---1----

2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება

2.1 მისაწოდებელი საქონლის ჯამური ღირებულება შეადგენს 160 ლარს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი შესაბამისი გადასახადების გათვალისწინებით.
2.2 ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ან ნაღდი ანგარიშსწორებით.

3. შესყიდვის ობიექტის მიწოდების პირობები

3.1 საქონლის მიწოდების ვადაა 14 დეკემბერი 2011 წელი

3.2 საქონლის მიღება გაფორმდება სასაქონლო ზედნადებით შემსყიდველისა და მიმწოდებლის საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელმოწერით.

3.3 ხელშეკრულების დამდებ არცერთ მხარეს არა აქვს უფლება ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები.

3.4 ხელშეკრულებების პირობებში ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

3.5 ხელშეკრულებების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად

4. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

4.1 შემსყიდველი და მიმწოდებელი მოქმედებენ საქართველოს კანონმდებლობის სრული დაცვით.

4.2 მიმწოდებელი ვალდებულია:

- დაიცვას ხელშეკრულებით გაფორმებული ყველა პირობა;
- ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდებისას საქმის კურსში ჩააყენოს (წერილობით) შემსყიდველი ყველა განსაკუთრებული გარემოების შესახებ;
- მიწოდებული საქონლის ხარისხი პასუხობდეს ხელშეკრულების პირობებს და აკმაყოფილებდეს შესყიდვების მოთხოვნებს;
- წუნის აღმოჩენის შემთხვევაში საკუთარი ხარჯით აღმოფხვრას იგი.

4.3 შემსყიდველი ვალდებულია:

- დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა;
- ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიღებისას საქმის კურსში ჩააყენოს (წერილობით) მიმწოდებელი ყველა განსაკუთრებული გარემოების შესახებ;
- ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად აუნაზღაუროს მიმწოდებელს მიწოდებული საქონლის ღირებულება;
- რაიმე წუნის აღმოჩენის შემთხვევაში დაუყოვნებლივ აცნობოს მიმწოდებელს წერილობითი ფორმით.

4.4 შემსყიდველს უფლება აქვს:

- განახორციელოს კონტროლი მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების დაცვაზე;
- თუ მიმწოდებელი წუნის აღმოფხვრასთან დაკავშირებით მიღებული შეტყობინების შემდეგ არ ასრულებს თავის ვალდებულებას მიმწოდებლის ხარჯზე განახორციელოს შესაბამისი სამუშაოები.

4.5 მომწოდებელს უფლება აქვს მოთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

4.6 მომწოდებელს არა აქვს უფლება შემსყიდველის წერილობითი თანხმობის გარეშე მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს მესამე პირს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება მოვალეობანი.

5. დასკვნითი დებულება

5.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია მხარეთა მიერ ხელის მოწერის დღიდან.

5.2 ამ ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება და დამატება ძალაშია მხოლოდ იმ პირობით, თუ ის შესრულებულია წერილობითი ფორმით და ხელმოწერილია მხარეთა მიერ. ამ ხელშეკრულების დანართები მის განუყოფელ ნაწილს შეადგენენ.

5.3 ეს ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორ ეგზემპლარად. ორივე ეგზემპლარი იდენტურია და აქვს თანაბარი ძალა. ორივე მხარეს აქვს ხელშეკრულების თითო ეგზემპლარი.

მ ხ ა რ ე თ ა რ ე კ ვ ი ზ ი ტ ე ბ ი:

„მიმწოდებელი“

შ.პ.ს. „კალამი“

ს/კ 400025511

სს„თიბისი“ ბანკი

ა/ა GE42TB7848136080100001

ბანკის კოდი TBCBGE22

დირექტორი

ხელმოწერა:

შემსყიდველი

რაიონის ~~[illegible]~~ საჯარო(კერძო) სკოლა

ს/კ 219634821

სკოლის დირექტორი